COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

2020 წლის 3 აპრილი

ლანსაროტის კომიტეტის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების განცხადება COVID-19-ის პირობებში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვაზე მიმართული ძალისხმევის გაძლიერების თაობაზე

COVID-19 ვირუსის გავრცელების შენელება და იმავდროულად იმის უზრუნველყოფა, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემები გაუმკლავდებიან ამ უპრეცედენტო პანდემიას, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობისთვის პრიორიტეტად იქცა, რის შედეგადაც ბევრმა მათგანმა იზოლაციის მკაცრ ზომებს მიმართა. ბავშვების უმრავლესობისთვის იზოლაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები გულისხმობს მათ დაცვას უსაფრთხო გარემოში. მაგრამ ძალიან ბევრი გოგონასთვის და ბიჭისთვის ასეთმა შეზღუდვამ შეიძლება გამოიწვიოს მათი კიდევ უფრო მეტად დაუცველობა ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციისგანაც. ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს COVID-19-თან დაკავშირებული კრიზისის მართვის ზომების ზეგავლენის შეფასებას და ბავშვთა დაცვის სისტემების რეაგირების ადაპტირებას ახალი ვითარების გათვალისწინებით. „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ (ლანსაროტის კონვენცია) ევროპის საბჭოს კონვენციის დებულებები ისეთივე აქტუალურია, როგორც ყოველთვის, და მათი განხორციელება სავალდებულოა.

მხარეთა კომიტეტის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც პასუხისმგებელია კონვენციის შესრულების მონიტორინგზე (ლანსაროტის კომიტეტი), ჩვენ მოვუწოდებთ კონვენციის მხარე სახელმწიფოებს გააგრძელონ ბავშვთა უფლებების დაცვა კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, რაც გულისხმობს წევრი სახელმწიფოების მიერ კონკრეტული ზომების გატარებას ყველა ბავშვის დაცვის და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის პრევენციის და ასეთ შემთხვევებზე რეაგირების მიზნით, ყველგან და ყოველთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აღმოჩნდა ჩაკეტილ მდგომარეობაში, ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ ბევრი ბავშვი, რომლებიც განსაკუთრებულად დაუცველები არიან ფსიქიკური ან ფიზიკური თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობების, ან სხვების მზრუნველობაზე დამოკიდებულების გამო, დამნაშავეების პირისპირ რჩებიან იზოლაციაში, იქნება ეს სახლში, მზრუნველობის დაწესებულებებში, ლტოლვილთა დროებითი განთავსების ბანაკებში, თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ბავშვი დაცულ გარემოში იმყოფებოდეს იზოლაციის პირობებში.

გარდა ამისა, იზოლირებაზე მიმართული ზომების შედეგად, ბავშვები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ ონლაინ სივრცეში და სოციალურ მედიაზე არიან დამოკიდებული მეგობრებთან კომუნიკაციის, გრძნობების გამოხატვის, სწავლის და გართობის თვალსაზრისით. როგორც EUROPOL-მა აღნიშნა, სექსუალური დანაშაულების ჩამდენი პირები ამ სიტუაციით სარგებლობენ და სავარაუდოდ, სულ უფრო მეტი ბავშვის სექსუალური მიზნებისთვის დაყოლიების (გრუმინგი) შემთხვევებს ექნება ადგილი ინტერნეტის გამოყენებით, და ისინი სექსუალური გამოძალვის, კიბერ-ბულინგის ან სხვა სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლები გახდებიან ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. უაღრესად მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება იმის შესახებ, რომ ასეთი ონლაინ რისკები უფრო გაიზარდა.

როგორც ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალურმა ქსელმა და UNICEF-მა განაცხადეს ახლახან, თავიან პარტნიორთან „ჰუმანიტარულ საქმიანობაში ბავშვთა დაცვის ალიანსთან“ ერთად, **სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მსგავსი სიტუაციების შესახებ უსაფრთხოდ შეტყობინების უზრუნველყოფა COVID-19-ის პრევენციის და კონტროლის ყველა ზომის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.**

ჩვენ მოვუწოდებთ ლანსაროტის კონვენციის ყველა მხარე სახელმწიფოს უზრუნველყონ, რომ ბავშვები ინფორმირებული არიან თავიანთი უფლების შესახებ დაცული იყონ სექსუალური ძალადობისგან, და იმ სერვისების და ზომების შესახებ, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. აუცილებელია უწყვეტი დიალოგი ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, და თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორთან, რათა რეგულარულად მოხდეს მდგომარეობის შესწავლა, საჭიროებების შეფასება და ზომების საჭიროებისამებრ ადაპტირება, რომ ყველა შესაბამისმა მხარემ შეძლოს ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობისგან დაცვის და აღკვეთის, და სექსუალური ძალადობის მსხვერპლზე ზრუნვის სფეროში მათზე დაკისრებული მისიის შესრულება.

რადგან იზოლაციის ღონისძიებების გამკაცრების გამო ბავშვები ძალადობის, უგულებელყოფის და ექსპლუატაციის უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დახმარების ცხელი ხაზების თაობაზე ინფორმირებულები იყვნენ როგორც ბავშვები, ისე ფართო საზოგადოება, და რომ ისინი ხელმისაწვდომი იყოს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის ონლაინ პლატფორმების მეშვეობით. იმის გამო, რომ COVID-19-ის პანდემია ასევე გავლენას ახდენს ამ სერვისების შესაძლებლობებზე რეაგირება მოახდინონ მზარდ მოთხოვნაზე, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი ადამიანური რესურსები და აღჭურვილობა, რათა არ დარჩეს რეაგირების გარეშე დახმარების თხოვნის თაობაზე შემოსული ნებისმიერი ზარი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ისეთ ინიციატივებს, რომლებიც ბავშვებისთვის გასაგები გზით აწვდიან ინფორმაციას როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური დახმარებისა და მხარდაჭერის სერვისებს შესახებ, რომელთა წვდომის უფლებაც მათ გააჩნიათ მიმდინარე ვითარებაში. ეს შეიძლება განხორციელდეს ონლაინ-კამპანიების გზით,

რომელთა ფარგლებში ეროვნულ დონეზე მოხდება ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული მასალების გავრცელება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით, და ყურადღება იქნება გამახვილებული დახმარების ცხელ ხაზებზე, რომლებიც თითოეულ მხარე სახელმწიფოში არსებობს.

მშობლებს და მზრუნველებს, რომლებიც ბავშვებთან ერთად აღმოჩნდნენ იზოლაციაში, დახმარება უნდა გაეწიოთ ამ კრიზისულ სიტუაციაში საკუთარ ემოციებთან და ქცევასთან გამკლავების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, საჭიროა მათი გაძლიერება, რათა მათ შეეძლოთ თავიანთი შვილების მიმართ სექსუალური ძალადობის, მათ შორის ონლაინ ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება. კომუნიკაციაზე მიმართული ძალისხმევა მიზნად უნდა ისახავდეს უფროსების ცნობიერების ამაღლებას იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მათ უნდა მიმართონ საკუთარი შვილების დასაცავად. გარდა ამისა, იზოლაცია ოჯახის წევრებს შორის კავშირების გაძლიერების და ნდობის ამაღლების კარგი შესაძლებლობაა.

ევროპის საბჭომ შეიმუშავა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული მასალების წყება, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას და ხელმისაწვდომია ამ მიზნით შექმნილ ქვემოთ მოცემულ ვებგვერდზე სხვადასხვა ენებზე: https://www.coe.int/en/web/children/covid-19

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გარკვეული ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები პრობლემების წინაშე დგანან იმ სპეციფიკურ გამოწვევებზე ქმედითი რეაგირების თვალსაზრისით, რაც ამ პანდემიამ გამოიწვია ბავშვებზე სექსუალური ძალადობის აღკვეთის სფეროში. ჩვენ მოვუწოდებთ ლანსაროტის კომიტეტის ყველა წევრს და დამკვირვებელს, რომ გააგრძელონ თავიანთი ძალისხმევა და გააზიარონ ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებული ინიციატივების შესახებ lanzarote.committee@coe.int მეშვეობით, რათა ჩვენ შეგვეძლოს ერთმანეთის გამოცდილებაზე სწავლა და ჩვენი კოლექტიური შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის დასრულების მიზნით. ევროპის საბჭო რეგულარულად განაახლებს თავის ვებგვერდს, რომელიც ეძღვნება კორონავირუსს და ბავშვებს, და გამოაქვეყნებს მასალებს შეძენილი გამოცდილების და რჩევების თაობაზე, რომლებიც მოწოდებულია ევროპიდან და მის ფარგლებს გარეთ.

COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლისას ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებზე ძალადობა კიდევ ერთი პანდემიაა, რომლის შედეგადაც მილიონობით ბავშვი დაზარალდა. მოდით, ერთად ვიბრძოლოთ ორივე პანდემიას.

ჯორჯ ნიკოლაიდისი ლანსაროტის კომიტეტის თავმჯდომარე	კრისტელ დე კრეიმი ლანსაროტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე